



ლაგოდების მუნიციპალიტეტის გამგებელი

ბრძანება

№839

2016 წლის 8 აგვისტო

ქ.ლაგოდები

ლაგოდების მუნიციპალიტეტში მომხდარი სტიქიის შედეგების შემსწავლელი მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარისათვის დავალების მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა.ე.“ და „ე.ე.“ ქვეპუნქტების შესაბამისად

ვბრძანებ:

მუხლი 1. დაევალოს, ლაგოდების მუნიციპალიტეტში მომხდარი სტიქიის შედეგების შემსწავლელ მუდმივმოქმედ კომისიის თავმჯდომარეს, 2016 წლის 1 ივლისს ლაგოდების მუნიციპალიტეტში მომხდარი სტიქიის (ძლიერი ქარი და წვიმა) შედეგების აღმოსაფხვრელად, დაზარალებული მოსახლეობისათვის შეძენილი სამშენებლო მასალების გადაცემა „მიღება - ჩაბარების აქტის“ საფუძველზე, შესაბამის ადმინისტრაციულ ერთეულებში გამგებლის წარმომადგენელთან და შესაბამის ადმინისტრაციულ ერთეულთან ურთიერთობის საკითხებში სპეციალისტთან ერთად.

მუხლი 2. სამშენებლო მასალების გადაცემის მიღება- ჩაბარების აქტზე, ხელმოწერის უფლებამოსილება მიენიჭოს ლაგოდების მუნიციპალიტეტში მომხდარი სტიქიის შედეგების შემსწავლელი მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარეს - იოსებ ტყემალაძეს, ხოლო სამშენებლო მასალების გადაცემის ფაქტი ხელმოწერით იქნას დადასტურებული შესაბამისი ადმინისტრაციულ ერთეულში გამგებლის წარმომადგენლისა და შესაბამის ადმინისტრაციულ ერთეულთან ურთიერთობის საკითხებში სპეციალისტის მიერ.

მუხლი 3. ბრძანების შესრულების ვადად განისაზღვროს 10 სამუშაო დღე.

მუხლი 4. ბრძანება ძალაში შედის მხარისათვის კანონით დადგენილი წესით გაცნობისთანავე.

მუხლი 5. ბრძანების გასაჩივრება შესაძლებელია გაცნობიდან ერთი თვის განმავლობაში გურჯაანის რაიონულ სასამართლოში, შემდეგ მისამართზე: ქ.გურჯაანი, სანაპიროს ქ. №24.

გამგებელი:

კარლო ჯამბურია